

დოკუმენტი დამტკიცებულია  
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის  
11 აგვისტოს №344 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია  
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის  
30 დეკემბრის №125 ბრძანებით, 2021  
წლის 18 იანვრის №1 ბრძანებითა და  
2020 წლის 16 მარტის №27 ბრძანებით.

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“  
პასუხისმგებლობის გადანაწილებისა  
და დელეგირების წესი*

## სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. რექტორი .....	3
მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით .....	3
მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით .....	4
მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით .....	4
მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი .....	5
მუხლი 7. დასკვნითი დებულება.....	5

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და დელეგირების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების, ანგარიშვალდებულებისა და დელეგირების პრინციპებს.

### მუხლი 2. რექტორი

1. რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა) ვიცე - რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ვიცე - რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

გ) ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

დ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;

ე) მედიცინის ფაკულტეტი.

ვ) სტრატეგიული განვითარების სამსახური;

ზ) ფინანსური სამსახური;

თ) ბიბლიოთეკა;

ი) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

კ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მაკეტინგის სამსახური.

2. რექტორის უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე;

3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, საზოგადოების პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრება უფლებამოსილი პირი.

### მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით

1. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) საგამოცდო ცენტრი;

ბ) იურიდიული სამსახური;

გ) უწყვეტი განათლების ცენტრი;

დ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი;

- ე) საქმისწარმოების სამსახური;
- ვ) შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- ზ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;
- თ) სერვისების სამსახური;
- ი) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

2. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.

#### **მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით**

1. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- ბ) უცხოელ სტუდენტთა შერჩევისა და მიღების სამსახური.

2 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

#### **მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით**

1. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი;
- ბ) სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრეინინგ ცენტრი;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

### მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი

ვიცე-რექტორები, მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე, მათ შორის, მათ დაქვემდებარებაში მყოფი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ვიცე-რექტორების უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან კურატორი ვიცე-რექტორის წინაშე.

### მუხლი 7. დასკვნითი დებულება

წინამდებარე დოკუმენტი განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე UNIK.EDU.GE.